სსრ კავშირის თასზე

18 ივლისს გაიმართა სსრ კავშირის 1987-88 წლების საფეხბურთო თასის მეთექვსმეტედფინალის საპასუხო მატჩები.

„შინიკი“ (იაროსლავლი) – „დინამო“ (თბილისი) 0:2, (0:1).

პირველი მატჩი თბილისის დინამოელებმა შინ მოიგეს ანგარიშით 4:1.

საპასუხო შეხვედრაში თბილისელთაგან პირველი ბურთი გაიტანა შენგელიამ, ხოლო მეორე, 74-ე წუთზე - ცვეიბამ.

თბილისის „დინამოს“ შემადგენლობა: გაბელია, კეტაშვილი, ჩივაძე, ჭედია, ცვეიბა, კორღალიძე, სვანაძე (აფციაური, 82), სულაქველიძე, ჟვანია (ქეცბაია, 62). გოგრიჭიანი (ფირცხალავა, 75), შენგელია.

მსაჯი ს. ჰუსაინოვი (მოსკოვი).

თბილისის „დინამო“ მერვეედფინალში გავიდა.

ლელო 21.07.1987